სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080193667029921

№ 280

01 / თებერვალი / 2021 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის #2134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-14 და მე-15 მუხლებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის #2134 განკარგულებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისია (შემდგომში – „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახი დემეტრაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ზაზა ნანობაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გელა გელაშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ხარიტონ შალამბერიძე – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ე) კონსტანტინე გუგეშაშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

ვ) გიორგი ლაცაბიძე – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ზ) ქეთევან თოფურია – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;

თ) მანანა სალუქვაძე – დამოუკიდებელი სპეციალისტი."

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად